საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #24

2019წ. 5 აპრილი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, მ.ამაშუკელი,
ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები,
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლ;ია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ პროექტი.

აღინიშნა, რომ 2018 წლის 16 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ი-კორპ"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის შედგენას. დეკემბრის თვეში გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების ვადამ გადაიწია 2019 წლის 15 აპრილამდე. შესაბამისად, სახელშეკრულებო ღირებულების - 135000,0 ლარის გადახდის ვალდებულება სამსახურს შეექნა 2019 წელს (საავანსო თანხა 30000,0 ლარი გადახდილია 2018 წლის ბიუჯეტის სახსრებით), რაც არ იყო გათვალისწინებული 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამა - „თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტებში" (04 03).

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობამ გამოიწვია ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება.

აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ლ.დარახველიძემ.

საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია